საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №232/17

-- -- 2017 წლის 22 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №232/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებით -- -- სარჩელი, მოპასუხე - სსიპ აღსრულების

ეროვნული ბიუროს მიმართ, ქონების ყადაღისგან გათავისუფლების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადასცა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2017 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე. განემარტა მოსარჩელეს, რომ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით განსჯადობით სარჩელით მიემართა -- რაიონული სასამართლოსთვის.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- მიერ 2017 წლის 27 ნოემბერს მიღებული განჩინება ეწინააღმდეგება -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებას, წარმოადგენს დავას განსჯადობაზე და გადასაწყვეტად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ამასთან, სადავო აქტი მიიღო მოპასუხემ და მისი, ისევე როგორც -- -- ადგილსამყოფელი ქ. --.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 22 ნოემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, ქონების ყადაღისგან გათავისუფლების მოთხოვნით. 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებით -- -- სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე -- -- უარი ეთქვა მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე. განემარტა მოსარჩელეს, რომ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით განსჯადობით სარჩელით უნდა მიემართა -- რაიონული სასამართლოსთვის.

-- -- 2017 წლის 22 დეკემბერს შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- მიერ 2017 წლის 27 ნოემბერს მიღებული განჩინების გაუქმება.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ამავე პალატის 2018 წლის 14 თებერვლის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად - კი სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად მოსამართლე უფლებამოსილი იყო ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე, არ

მიეღო სარჩელი განსახილველად, რადგან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისგან განსხვავებით სამოქალაქო საქმის განხილვისას მოსამართლე არ არის უფლებამოსილი თვითონ გადააგზავნოს საქმე განსჯად სასამართლოში. საქმის განხილვისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად - კი მოსამართლე უფლებამოსილი იყო მხარისთვის განემარტა რომელი სასამართლოსთვის უნდა მიემართა სარჩელით.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მოსამართლე -- --, შესაბამისი განჩინების მიღებისას, კერძოდ, სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმისას, მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მეხუთე პუნქტითა და „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №232/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი